F 567 ✓3432

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოჭლოს ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-12 წელი

№ 9 (193)

მაისი,

1968 წელი



საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიბლიოთეკა

დედაქალაქის ახალშენებლობანი

„სამშობლოს ხმის“ მკითხველებს ესაუბრება თბილისის სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის მმართველი

კ. ჯანჯალეიშვილი

მიმდინარე წელს „თბილმრეწვმშენის“ ტრესტის კოლექტივმა საქართველოს დედაქალაქში უნდა ააგოს ბევრი ახალი სამრეწველო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტი. მაგრამ სანამ მიმდინარე წლის მშენებლობებზე ვილაპარაკებთ, თუნდაც მოკლედ შევეხოთ იმას, თუ რა გაკეთდა შარშან.

1967 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა 45 სხვადასხვა ობიექტი, მათ შორის ამიერკავკასიაში პირველი საფუარის ქარხანა, კამვოლ-სართავი ფაბრიკის მეორე რიგი, თბილისის ავტომშენებელი ქარხნის ახალი საამქროები, საქართველოს წყალთა მეურნეობის სახელმწიფო-საპროექტო ინსტიტუტის საწარმოო შენობა. საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი სიმძლავრეები თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში, რომლის მწარმოებლობა გაიზარდა 7 ათასი ტონა სხმულით წელიწადში.

მიღწეული წარმატებები ტრესტის მთელი კოლექტივის შემოქმედებითი აქტივობის, ახალი ტექნიკის დანერგვის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მეთოდების, ქსელური დაგეგმვისა და მართვის დანერგვის შედეგია.

დამკვრელური ტემპით დაიწყეს მშენებლებმა წლევანდელი წელი. დაახლოებით 18 მილიონი მანეთი — ასეთია კაპიტალურ დაბანდებათა თანხა, რომელიც ტრესტმა უნდა აითვისოს წელს. უნდა დამთავრდეს სამუშაოები და საექსპლოატაციოდ გადაეცეს მეოთხე კვარტალში პირველი მაისის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარი. ნაძალადევის რაიონში დაიწყო 750 ტაქსის დახურული გარაჟის მშენებლობა, ეს ექვსსართულიანი შენობა, რომელიც გარეგნულად არ გავს სამრეწველო ობიექტს, დაამშვენებს ქალაქის ახალ მაგისტრალს — ავჭალის გზატკეცილს. დაიწყო თბილისის „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქცია, რაც ძირეულად შეცვლის სტადიონის გარეგნულ სახეს და ორჯერ მეტ ფეხბურთის მოყვარულს დაიტევს.

საბურთალოს რაიონში დაიწყო ველოტრეკის მშენებლობა. მის ტრიბუნებზე დაეტევა 12 ათასი მაყურებელი, ხოლო შიდა მოედანი შეიძლება გამოვიყენოთ ფეხბურთის მინდვრად. გრძელდება 1.200-საწოლიანი რესპუბლიკური საავადმყოფოს მშენებლობა. 200 მეტრი სიგრძის 14-სართულიანი შენობა სამუშაოთა მოცულობით აღემატება ბიჭვინთის კონცხზე აგებულ მთელ კომპლექსს. მშენებლებმა ვალდებულება იკისრეს საავადმყოფო საექსპლოატაციოდ გადასცენ 1970 წელს.

შეუძლებელია ჩამოვთვალოთ ყველა ობიექტი, რომლებსაც „თბილმრეწვმშენის“ ტრესტის კოლექტივი აშენებს, მაგრამ სადაც უნდა იყოს სამშენებლო მოედნები, სადაც უნდა შენდებოდეს ქარხნების, საავადმყოფოების, საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ახალი კორპუსები და სხვა ნაგებობანი, მშენებლები ყველგან შრომობენ დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით, იბრძვიან მშენებლობის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მაღალი ხარისხისათვის, მშენებლობის თვითღირებულების შემცირებისათვის.

გაზაფხული ენგურზე

გაზაფხულია ენგურის ნაპირებზე. წლევანდელი გაზაფხული დამახასიათებელია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დიდი გაქანებით უზარმაზარი მშენებლობის მთელ მრავალკილომეტრიან ტრასაზე.

მწვანე ბორცვებზე მიმალული, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ წყნარი საკოლმეურნეო სოფელი საბერიო ახლა ქალაქს მოგვაგონებს. არათუ შარაგზები, არამედ ხეობებში დაკლაკნილი ბილიკებიც კი ფართო ასფალტიან მაგისტრალებად გადაიქცა. და ყოველ მათგანზე სივიწროვეა მანქანებისაგან. ზოგნი მიიჩქარიან ინერტიული მასალების ქარხნისაკენ, სხვებს გეზი აუღიათ მაღალი მთის სამშენებლო მოედნებისაკენ.

საბერიოს ამშვენებს სამსართულიანი სახლები. უკანასკნელ ხუთ წელიწადში აქ საექსპლოატაციოდ გადაეცა დაახლოებით 20 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. აშენდა სასადილოები და მაღაზიები, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი სხვადასხვა სამსახურით, აფთიაქი, ამბულატორია და მუშათა კლუბი. ყველაზე მაღალ მთას აგვირგვინებს აჟურული სატელევიზიო სარეტრანსლაციო კოშკი.

ცხოვრება დუღს ახლა საბერიოში. ავტობუსები, მსუბუქი ავტომანქანები, წამდაუწუმ მოდიან მშენებელთა დაბის ცენტრში. აქ, ახალ სამსართულიან შენობაში მოთავსებულია ენგურჰესის ძალოვანი კვანძის მშენებლობის სამმართველო. ხუთი წლის წინათ შექმნილი ეს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო ახლა ერთ-ერთი უდიდესია საქართველოში.

ძალური კვანძი — ეს არის ჰიდროსადგურის მიწისქვეშა შენობა, მისი მიწისზედა ნაგებობანი, მისი საწნეო წყალსადენი. გარდა ამისა, აქ შედის დამხმარე ნაგებობათა მთელი კომპლექსი — სარინე გვირაბი, რომელიც გადამუშავებულ წყალს უშვებს მდინარე ერისწყალში, მათანაბრებელი რეზერვუარი და სხვ.

დიდი მეურნეობაა ენგურის მარჯვენა ნაპირზე. მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საშუალებას აძლევს ჰიდრომშენებლებს სამუშაოთა ფრონტი გაშალონ მთელ შვიდკილომეტრიან სამშენებლო მოედანზე. თუ ხუთი წლის წინათ სამმართველოს კოლექტივი ასრულებდა 340 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს, შარშან ხარჯებმა 5 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

წელსაც დიდი გეგმებია დასახული. მშენებლებმა და მემონტაჟეებმა უნდა შეასრულონ 6 მილიონ 500 ათასი მანეთის სამუშაოები. მათი ყურადღების ცენტრშია ბეტონის სამუშაოები ძალური კვანძის ყველა ობიექტზე. აქ ბევრი სიძნელეა, ყველაზე „ვიწრო“ ადგილია ენგურის კასკადის ძირითადი ჰიდროელექტროსადგურის მიწისქვეშა შენობის აგება. ამ ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრე მილიონ 400 ათასი კილოვატი იქნება. აქ მშენებლებმა მიწის ქვეშ უნდა ამოიღონ 160 ათასი კუბური მეტრი გრუნტი. მიმდინარეობს სარინო გვირაბის მშენებლობა. ამ სამკილომეტრიანი გვირაბის გაყვანა, რომელშიც თავისუფლად ჩაეტევა ორსართულიანი სახლი, ზემო და ქვემო საფეხურებით წარმოებს.

სულით ძლიერი ადამიანები აგებენ საქართველოს უდიდესი ელექტროსადგურის ძალურ კვანძს. ამ ბოლო ნახევარ წელიწადში აქ ორი სრულიად საკავშირო რეკორდი დაამყარეს. დიდი კვეთის გვირაბების გაყვანაზე ბრიგადამ, რომელსაც გივი ნადირაძე ხელმძღვანელობს, გასული წლის აგვისტოში გაიყვანა 107 გრძივი მეტრი. შემდეგ ჰიდრომშენებლებმა გაუმჯობესეს რეკორდი. სასიხარულო იყო მშენებლობაზე 3 აპრილი: ძალური კვანძის მშენებელთა და მემონტაჟეთა დიდმა კოლექტივმა მიულოცა გივი ნადირაძის ბრიგადას ვალდებულებათა შესრულება. წარჩინებულმა მაღაროელებმა კვლავ დაამყარეს სრულიად საკავშირო რეკორდი, გაიყვანეს რა 115 მეტრი გვირაბი.

მშენებლობის მთელ მრავალკილომეტრიან ტრასაზე იცნობენ გვირაბგამყვანთა ბრიგადირებს ვაჟა ხურციძეს, ივანე ივანოვს, ვლადიმერ მაგდალიანოვს.

ენგურჰესის მშენებლებს ახლა დიდი საზრუნავი აქვთ. მათ გადაწყვიტეს მთის მდინარეზე ელექტროშუქი აანთონ 1970 წლის აპრილისათვის.

თ. ჯიბუტი.

საბითუმო ბაზრობა თბილისში

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა საგაზაფხულო საბითუმო ბაზრობა. ბაზრობის გახსნისათვის საორგანიზაციო კომიტეტში რეგისტრაცია გაიარა საქართველოს, რსფს რესპუბლიკის, უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ბელორუსიის, უზბეკეთის, მოლდავეთის, ლატვიის შვიდასზე მეტმა წარმომადგენელმა. ისინი თბილისში ყიდვა-გაყიდვის ფართო რწმუნებებით გაგზავნეს სახელმწიფო და კოოპერაციულმა სავაჭრო გაერთიანებებმა, საბითუმო ბაზებმა, უნივერსალურმა და სპეციალიზებულმა მაღაზიებმა.

ვისაც უნდოდა ბაზრობაზე გაეყიდა სახალხო მოხმარების საქონელი, მათ თან ჩამოიტანეს ნიმუშები და მათი დემონსტრირებისათვის მიიღეს კარგად მოწყობილი სტენდები. რესპუბლიკების სავაჭრო ორგანიზაციათა წარმომადგენლებს, რომლებსაც საქონლის შეძენა უნდოდათ, თან ჰქონდათ იმის გულდასმით შემუშავებული სპეციფიკაცია, რაც ესაჭიროებოდათ. ეს სპეციფიკაციები წარმოდგენილი იყო საყოველთაო დათვალიერებისათვის, მათი შინაარსი რადიოთი იყო გადაცემული.

ორგანიზატორები

საბითუმო ვაჭრობა თბილისში მოაწყო საქართველოს ვაჭრობის სამინისტრომ სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს მონაწილეობით. ამ სამინისტროებმა განსაზღვრეს ბაზრობის მოწყობის ვადები. მათი სახელით დაგზავნა 8000 მოწვევა მოკავშირე რესპუბლიკების სავაჭრო გაერთიანებებსა და ფირმებს.

ამრიგად ბაზრობის გახსნამდე ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ სავაჭრო ორგანიზაციებს შეეძლოთ გადაეწყვიტათ საკითხი, მიიღებდნენ თუ არა მონაწილეობას ბაზრობაში.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, მოწოდებას გამოეხმაურა 700-ზე მეტი სავაჭრო და სამრეწველო ფირმა. მათ ბაზრობას შესთავაზეს სახალხო მოხმარების თითქმის 100 მილიონი მანეთის საქონელი. ამ საქონლის ასორტიმენტი ფრიად მრავალფეროვანი იყო. მეხუთედ ნაწილს შეადგენდა ბამბეულის, აბრეშუმის, შალის ქსოვილები. საქონლის 15 პროცენტი იყო სამკერვალო ნაწარმი, 7 პროცენტი — ტრიკოტაჟი. საკმაოდ ფართოდ იყო წარმოდგენილი კვების მრეწველობა, განსაკუთრებით — კონსერვები, საკონდიტრო ნაწარმი, ღვინო.

ბუნებრივია, ბაზრობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველოს საწარმოო და სავაჭრო ფირმებმა.

— ჩვენმა რესპუბლიკამ ბაზრობაზე წარადგინა 40 მილიონ მანეთისაზე მეტი საქონელი, — განუცხადა პრესის წარმომადგენლებს რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ვ. ჯინჯიხაძემ. — სტუმრების — ვაჭრობის მოღვაწეთა, საქონელმცოდნეთა ყურადღება მიიპყრო ბაზრობაზე გამოფენილმა გორის ბამბეულის კომბინატის, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის, კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ქსოვილებმა, თბილისის, ბათუმის და საქართველოს სხვა ქალაქების ფაბრიკების მოდელის ფეხსაცმელმა.

ხელსაყრელი და სასარგებლო გარიგებანი

ბაზრობაზე მოეწყო გარიგებათა დადება. ყიდვა-გაყიდვას ფართო ამპლიტუდა ჰქონდა: ყველაზე მცირე გარიგება 1200 მანეთს შეადგენდა, ყველაზე დიდი კი — მეოთხედ მილიონ მანეთს.

მეოთხედი მილიონი მანეთის ოდენობის გარიგება დაიდო „ტექსტილვაჭრობის“ საქართველოს საბითუმო ბაზასა და უზბეკეთის სამკერვალო ფირმას შორის. საბითუმო ვაჭრობის მუშაკი ასლან კობახიძე გარიგებით კმაყოფილი დარჩა:

— ჩვენ უზბეკებს მივყიდეთ გაბარდინი, — ამბობს იგი, რომელზეც ჩვენში მოთხოვნილება არ არის. შუა აზიაში კი იგი თურმე საჭიროა...

სავაჭრო გაერთიანება „საქტანსაცმლის“ დირექტორმა კი ოდესის ფირმა „ბავშვთა სამყაროსაგან“ შეისყიდა 300 ათასი მანეთის მზა ტანსაცმელი, რითაც ძალიან კმაყოფილი იყო.

— საბავშვო საქონელზე ჩვენში ძალიან დიდი მოთხოვნილებაა, — განმარტა მან.

ოთხი დღის განმავლობაში მთელ უზარმაზარ სპორტის სასახლეში, რომელიც 12 ათას კაცს იტევს, განუწყვეტლივ გაისმოდა განცხადებები რადიოთი:

—საშუამავლო კანტორა გარიგების იურიდიული გაფორმებისათვის იწვევს ამა და ამ ორგანიზაციებს.

ბაზრობის რადიოსადგურის დიქტორი მიწვევას რამდენჯერმე იმეორებდა.

რა საშუამავლო ორგანიზაციებია ეს? საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სამინისტროსთან და რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროებთან გახსნილია საშუამავლო კანტორები, რომლებიც საბითუმო ბაზრობათა ორგანიზატორები არიან (თუმცა მათ სხვა ფუნქციებიც აქვთ). მათ მინიჭებული აქვთ გარიგებათა იურიდიული გაფორმების უფლება. სამსახურის გაწევისათვის ისინი მცირე გასამრჯელოს იღებენ როგორც გამყიდველი, ისე მყიდველი ორგანიზაციისაგან.

საჭიროა აღინიშნოს, რომ საბითუმო ბაზრობები სსრ კავშირში ხშირი მოვლენა გახდა მომოქცევის სფეროში. მათმა ბრუნვამ 1967 წელს ორ მილიარდ მანეთს გადააჭარბა. ბაზრობები ხელს უწყობენ სავაჭრო კონიუნქტურისა და უწინარეს ყოვლისა მოსახლეობის მოთხოვნილების შესწავლას. საბჭოთა ვაჭრობის მუშაკებს მიაჩნიათ, რომ ბაზრობათა მოწყობა დადებით გავლენას ახდენს საცალო საქონელბრუნვის დაგეგმვაზე. თვითეული ბაზრობის შედეგებს შეისწავლიან, ანალიზს უკეთებენ სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროში.

თბილისში გამართული ბაზრობის შემდეგაც მოეწყობა მისი შედეგების გულმოდგინე ანალიზი საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიაზე. და უწინარეს ყოვლისა სავაჭრო კონიუნქტურისა და იმ კორექტივების შესწავლის თვალსაზრისით, რომლებიც საჭიროა შეტანილ იქნას რესპუბლიკაში საცალო საქონელბრუნვის დაგეგმვაში.

ამრიგად, საბითუმო ბაზრობანი კი არ უპირდაპირდებიან დაგეგმვას, არამედ, პირიქით, განამტკიცებენ, სრულყოფენ საქონელბრუნვის გეგმების შემუშავებასა და რეალიზაციას. სსრ კავშირში ეწყობა არა მარტო სარესპუბლიკათაშორისო საბითუმო ბაზრობანი, როგორც ამ შემთხვევაში თბილისში, არამედ შიდარესპუბლიკური, ჯგუფური, ზონალური, შიდასაოლქო საბითუმო ბაზრობებიც.

როგორია შედეგები?

მაგრამ დავბრუნდეთ ბაზრობაზე, თბილისის სპორტის სასახლეში. აქ ოთხ დღეში რეალიზებულ იქნა 40 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების საქონელი. კმაყოფილი არიან ისინიც, ვინც გაუიდა მათი სავაჭრო ორგანიზაციისათვის ზედმეტი საქონელი და ამით გამოათავისუფლა საბრუნავი სახსრები, ისინიც, ვინც შეიძინა სახალხო მოხმარების საჭირო საქონელი, რაც უზრუნველყოფს მყიდველთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და საცალო საქონელბრუნვის ზრდას ამ სავაჭრო ორგანიზაციების საქმიანობის ზონებში.

მერაბ ლორთქიფანიძე,
ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი.



გარდაბნის რაიონის სამგორის საჯიშე მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა რესპუბლიკის ერთ-ერთი მოწინავე მრავალდარგობრივი მეურნეობაა.

ამჟამად აქ ითვლიან ექვს ათასზე მეტ სულ მსხვილ რქოსან საქონელს, 45 ათას სულ ცხვარს, 35 ათასამდე ფრთა ფრინველს.

საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეებმა ვალდებულება აიღეს მიმდინარე წელს 1.250 ტონა ხორცი აწარმოონ და ახალი ხორცით მოამარაგონ ქალაქები თბილისი და რუსთავი.

სურათზე: საბჭოთა მეურნეობის ცხვრის ფარა.

წარსულის ფურცლები

რა მოგვითხრო სამალავმა

ღვინისსაცავი, რომელიც სამ საუკუნეს დამალული იყო მთაში ახალციხის რაიონის სოფელ ანის მახლობლად, შემთხვევით აღმოაჩინა კოლმეურნე **ბ. ნებიერიძემ.** მან ეს აცნობა რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. გათხრების დროს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა **შ. წიქვაძემ** აღმოაჩინა სამალავი, რომლის იატაკში ინახებოდა მიწაში ჩაფლული სამი დიდი ქვევრი. შენობა გადახურულია სამი მეტრი სიგრძისა და მეტრნახევარი სიგანის ორი ქვის ფილით. ფილები აწყვია ადამიანის სიმაღლის ორ ვერტიკალურად დადგმულ ქვაზე. სამალავის კარი, იქ შესასვლელი, რომელიც შენიღბულია ხშირი მცენარეებით, იწყება მთის კალთაზე ხუთასი მეტრის დაშორებით. მიწისქვეშა გასასვლელში შეიძლება მხოლოდ ხოხვით გავლა.

მესხეთის მთებში სამალავის არსებობა ჩვენი თხოვნით ახსნა საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ პროფესორმა **ბ. გერიძემ.**

250 წლის მანძილზე — 1578-დან 1828 წლამდე მესხეთი იტანჯებოდა უცხოელ დამპყრობთა ბატონობით, რომლებიც ცდილობდნენ დაენერგათ მაჰმადიანური სარწმუნოება. ისინი კრძალავდნენ ღვინის სმას, ჩეხავდნენ ვენახებს, მეღვინეები იძულებული იყვნენ სამალავები შეექმნათ, ხოლო მევენახეები შიგ ტყეებში იმალებოდნენ. დღესაც სპეციალისტები ძნელად მისადგომ ადგილებში ხვდებიან ძველ ვაზს — ფარული ვენახების ნაშთს. ბევრი ასეთი ნაპოვნია ჩვენი ინსტიტუტის ახალციხის საყრდენი პუნქტის გამგის შალვა წიქვაძის ანგარიშზე. გასაკვირი არ არის, რომ უძველესი ჯიშების ვაზის აღორძინების ეს ენთუზიასტი პირველი სიგნალისთანავე ჩავიდა ანში სამალავის გასათხრელად.

ნაპოვნი მესხეთის მთებში ერთხელ კიდევ მკაფიოდ მოწმობს, თუ რა თავდადებით იბრძოდა ქართველი ხალხი მევენახეობისა და მეღვინეობის ეროვნული დარგის შენარჩუნებისათვის.

თქვენთვის, ტურისტებო!

ტურიზმის მოყვარულებმა კარგი საჩუქრები მიიღეს: ბაკურიანისა და თელავის ტურისტული ბაზების ახალი შენობები, სოხუმ-სინოპისა და მწვანე კონცხის ტურისტული ბაზების მრავალსართულიანი სასტუმრო კორპუსები.

შენდება დიდი ობიექტები — ტურისტული სასტუმრო ვარძიაში, ტურისტული ბაზები მესტიაში, ყაზბეგსა და ფასანაურის ახლოს. ამ კომპლექსურ ნაგებობებს სასტუმრო კორპუსების გარდა ექნება კლუბები, ბიბლიოთეკები, დასვენებისა და გართობის ოთახები.

წელს დამთავრდება ახალი ათონის ტურისტული ბაზის სასტუმრო კორპუსის, მესტიის ტურისტული ბაზის შიხრის სამთო-ტურისტული თავშესაფრის მშენებლობა. ფიჭვების ხევში (ქვემო ქართლი), საგარეუბნო კურორტ წყნეთსა და რესპუბლიკის სხვა თვალწარმტაც კუთხეებში აშენდება ტურისტული-გამაჯანსაღებელი ბანაკები.

მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა დიდი ტურისტული სასტუმროებისა და ტურისტული ბაზების ასაგებად თბილისში, ბათუმში, ქობულეთში, სოხუმში, ქუთაისში, ბორჯომში, სიღნაღში, ხარისთვალაში, ბაზალეთის ტბაზე.

მალე მწყობრში ჩადგება ყაზბეგის ჰაერბაგირის სამგზავრო გზის პირველი რიგი. ახლო ხანში დაიწყება ჰაერბაგირის გზის — მცხეთა-ჯვარი-ზედაზენი-სკურამო - წიწამური-მცხეთა აგება.

სათხილამურო ტურიზმის მატერიალური ბაზის შესაქმნელად გადაწყდა ჰაერბაგირის სამგზავრო გზების მშენებლობა ბაკურიანში, ფასანაურსა და რესპუბლიკის სხვა რაიონებში, რომლებსაც ზამთრის სახეობათა სპორტის განვითარების კარგი პირობები აქვთ.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მიწისქვეშა ტურიზმის ისეთი დიდი ობიექტის მოწყობა, როგორიცაა ივერიის მღვიმეების კომპლექსი ახალ ათონში.

„ვერ ვშორდები ჩემს გმირებს“

რეჟისორი იღებს ფილმს

„ნუ იტყვი ჰოპს, სანამ არ გადახტები!“ მიხეილ კობახიძის ახალი კომედიის „ჰოპ-ლას“ გმირმა სრული საფუძვლით თქვა — ჰოპ! მან ასწია სიმძიმე, რომლის აწევაც ვერავინ შეძლო. და გაყოყოჩდა...

— გთხოვთ იმას ნუ დაწერთ, რაც აქედან გამოვიდა, — სთხოვა ჩვენს კორესპონდენტს ახალგაზრდა რეჟისორმა. — დაე მაყურებელმა თვითონ შეიტყოს.

„ჰოპ-ლა“ კობახიძის მესამე ფილმია. „ქორწილი“ და „ქოლგა“ საერთაშორისო ლაურეატები გახდნენ და მას გაბედული და მაძიებელი რეჟისორის სახელი მოუტანეს.

— ამბობენ, ეძიებდე და პოვებდეო. არ ვიცი, ვიპოვი თუ არა მე, — ამბობს კობახიძე. მაგრამ ჩემი ახალი ფილმი ძალიან განსხვავდება წინანდელებისაგან. იგი მთლიანად აგებულია პლასტიკაზე, მასში ფართოდ გამოვიყენე ცეკვის ელემენტები, თუმცა, ისევე როგორც წინა ფილმებში, დიალოგი არც აქ იქნება.


„ჰოპ-ლა“ ერთ-ერთი ნოველაა იმ ოთხი ნოველიდან, რომლებიც შემდეგში შეადგენენ სრულმეტრაჟიან ფილმს. მიხეილ კობახიძემ თვითონ დაწერა სცენარი (ისევე როგორც წინათ), შეარჩია მუსიკა, თვითონვე ასრულებს ამ ნოველებში მთავარ როლებს.

— ვერ ვშორდები ჩემს გმირებს, — ამბობს რეჟისორი. — მაყურებლები კვლავ შეხვდებიან გოგი ქავთარაძეს და გურამ ავალიშვილს, რომლებსაც იცნობენ „ქორწილით“ და „ქოლგით“.

სინამდვილედ იქცევა ჭაბუკობის ოცნება — გადაიღოს სრულმეტრაჟიანი ფილმი სიყვარულისა და იმ საქმისადმი ერთგულების შესახებ, რომელსაც ემსახურება. სცენარს მ. კობახიძე წერს ფილმზე მუშაობის პარალელურად.

მომავალი ფილმი აგრეთვე კომედია იქნება.

— გადავწყვიტე ამ ჟანრში ვიმუშაო, — ამბობს მ. კობახიძე. — მინდა, რომ ჩემი კომედიები არა მარტო აცინებდნენ მაყურებელს, არამედ კიდევაც ჩააფიქრებდნენ.



ამ დღეებში საქართველოს საზოგადოებრიობამ აღნიშნა მახარაძის სახელმწიფო თეატრის 100 წლისთავი.

სურათზე: მახარაძის სახელმწიფო თეატრის ახალი შენობის ხედი.

კაშხალების გამოსაცდელი სტენდი

კაშხალების (განსაკუთრებით მაღლივი თაღიანი კაშხალები) ჰიდროკვანძების ყველაზე რთული კონსტრუქციების სიმკვრივე და ხანგრძლიობა მათემატიკურად ძნელი გამოსაანგარიშებელია.

სპეციალისტები თანამედროვე გამოსათვლელი ტექნიკის დახმარებითაც ჯერჯერობით ვერ ახერხებენ დაწვრილებით გაითვალისწინონ მომავალი კაშხალების სიმკვიდრის გაანგარიშებებში ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მშენებლობის ადგილის გეოლოგიური პირობები, წყლის ჰიდროსტატიკური წნევა, კაშხალის საკუთარი წონა და სხვ. ამიტომ მეცნიერები და დამპროექტებლები მიმართავენ მომავალი კაშხალების მოდელების გამოცდას განსაკუთრებულ ლაბორატორიულ დანადგარებზე.

თბილისის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში დამთავრდა კაშხალების მოდელების სტატიკური გამოცდისათვის განსაკუთრებული სტენდის აგება, რომელიც პირველია ამიერკავკასიაში. ეს რთული დანადგარი ორსართულიანი სახლის სიმაღლეა. დომკრატების რთული სისტემის დახმარებით, რომლებიც ქმნიან 250 ატმოსფერომდე წნევას, და მთელი რიგი სხვა სამარჯვებით მკვლევარებს შეუძლიათ სტენდზე კაშხალის საკუთარი წონის, მის ტანზე წყლის დაწოლის, მომავალ ნაგებობაზე საძირკვლის გეოლოგიური სტრუქტურის გავლენის და სხვ. იმიტაცია.

უნივერსალური დანადგარი აგებულია ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ლაბორატორიაში ლაბორატორიის გამგის, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის **გ. ჩილინგარიშვილის** ხელმძღვანელობით. მთელი მოწყობილობა მის ასაწყობად დაამუშავეს და დაამზადეს ქართველმა სპეციალისტებმა. მაგალითად, მძლავრი ჰიდრავლიკური დომკრატები შეიქმნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანაში.



ზიო მღვიმელი

მკვეხარა მამაღი

იცით, ქათმებო, რას გეტყვით,
მეტი რომ არ ვთქვა თავზედა,
ჩემი ბადალი, მითხარით
ვინ არის ქვეყანაზედა?
დავიარები ამაყად
და ვყივი მაღალხმიანი,
შიშის ზარსა ვცემ ქვეყანას
ვაუკაცი, დეზებიანი!
ლამაზიცა ვარ, ბიბილო
მიმიგავს წითელ ლალებსა,
კისერი კოხტად მიჭირავს
და ვაბრიალებ თვალებსა!
„ყიყლიყოს“ დასაძახებლად
გულიც კი აუყუნცულდა,
მაგრამ უეცრად პაწია
გოშია გამოცუნცულდა.
დაჰყეფა. შეკრთა მამალი,
როგორც პატარა შოშია
და შერცხვენილმა რაინდმა
მოკურცხლა საქათმეშია.

ნოდარ დუმბაძე

მანანა და ლალი

მანანა — ლალი, ლალი, ჩემო ლალი!

ლალი — რაო, ჩემო მანანა?

მანანა — ეს თოჯინა დედაშენმა
ჩემთან გამოგატანა?

ლალი — რასა ბრძანებ, ქალბატონო!
არ გათხოვებ არასდროს,
გინდა ისევ გააცივო,
ისევ სურდო დამართო?

მანანა — რადგან ასე მეუბნები,
რადგან ასე მაჯავრებ,
დამიბრუნე ჩემი ვაშლი,
მე რომ გუშინ გაჭამე.

ლალი — არაფერიც, არაფერიც,
არაფერსაც არ მოგცემ,
იმ ვაშლისთვის, აღარ გახსოვს,
ლოყაზე რომ გაკოცე?

მანანა — მე რომ წიგნი მოგიტანე
კარგი წასაკითხავი?..

ლალი — მერე, მე რომ მოგარჩინე,
ექიმი რომ ვიყავი?

მანანა — ჰო, ჰო, ჰო, ჰო, დიდი საქმე,
სულ არ იცი თამაში,
გახსოვს, მე რომ მოგეხმარე
კამფეტების ჭამაში?

ლალი — მერე, მე რომ შენს თოჯინას
გავუკეთე ნემსები?!.

მანანა — მერე, მე რომ წაგიკითხე
დიდი, გრძელი ლექსები?!.

ლალი — როგორც ვხედავ, ქალბატონო,
უმადური ბრძანდები,
დაგავიწყდა, გუშინწინ რომ
გამომართვი ბაფთები?

მანანა — არც თოჯინა მინდა შენი,
აღარც შენი ვაშლები,
ბუტე, ბუტე, გაგებუტე,
აღარ გეთამაშები!

მორის ფოცხიშვილი

მახრა

გიამ დარგო ჭერამი,
ჭერამს თურმე რაღაც ხრავს,—
გიამ ჭიას დააბრალა,
ჭიამ — კვერნას,
კვერნამ — თაგვს;
თაგვმა — კატას,
კატამ — ხარს,
ხარმა — მელას,
მელამ — თხას.
დამნაშავე ვერ ნახეს,
დაეძებენ ახლაც...
აზრად არვის მოსვლია,
ხეს თუ ხრავდა მახრა.

ვახტანგ ძნელაძე

მთვრალი ღათი

მობარბაცებს დათვი,
გამომთვრალი თაფლით.
წამოედო ჯაგებს,
ბუნაგს ველარ აგნებს,
ხიდან უმზერს ჩხიკვი,
ვერ იკავებს სიცილს.
ასე მოსდის ყველას,
ზომა ვინც არ იცის.

კუკური გოგიაშვილი

მ ი ყ ვ ა რ ს მ ი ყ ვ ა რ ს...

მიყვარს, მიყვარს, საქართველოვ,
შენი კოხტა მთა-ბარი,
მოხატული გაზაფხული
და ქათქათა ზამთარი.

მიყვარს შენი ვენახები,
წყაროები ანკარა,
შენი ზღვით თუ ნაკადულით
აბა, ვინ არ დამტკბარა?!

მიყვარს შენი სოფლები და
ქალაქები ახალი,
მოგუგუნე ელსადგური
და სახლები მაღალი.

საქართველოვ, მიყვარს შენი
ზაფხული და ზამთარი,
შენი მიწა, შენი წალხი,
შენი კოხტა მთა-ბარი!

პატარა წრუწუნა

ი გ ა ვ - ა რ ა კ ი

სოროდან ფრთხილად გამოცუცუნდა პატარა წრუწუნა. უნდოდა შეეტყო, რა ამბავია ქვეყანაზე. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ გულგახეთქილი ისევ სოროში შევარდა.

— სად იყავი, რა ამბავია, რა დაგემართა? — ჰკითხა დედამ.

— სასეირნოდ ვიყავი.

— რამ შეგაშინა?

— ორი მხეცი ვნახე ეზოში. ერთი ძალიან საშიში უნდა იყოს. თავზე ხერხი ადგია, ფეხებზე დეზები ასხია, თვალები დაბღვერილი აქვს და ნისკარტი მოკაუჭებული. რომ შემომხედა, ცალი ფეხი შეიკეცა, პირი დააღო და ისე დაიყვირა, რომ კინაღამ გული გამისკდა. შემეშინდა და გამოვიქეცი!

— ეგ ხომ მამალია, შვილო, მაგისი როგორ შეგეშინდა! ის არავის ავნებს, — უთხრა დედამ.

— მეორე კი ძალიან საყვარელი მხეცი უნდა იყოს. თავი მრგვალი აქვს და თვალები დიდი, ტუჩებზე აქეთ-იქით ლამაზად გადაწყობილი ულვაშები ასხია, ტანი ბეწვით აქვს შემოსილი, კუდი — გრძელი და ფაფუკი, ფეხები — ნაზი, ხოლო თითებზე ჩვენსავით პატარა ბრჭყალები აქვს. მე რომ გავედი ეზოში, მზეზე იწვა, კოტრიალობდა, ხან წამოჯდებოდა და ენით თათებს ილოკავდა, ხან ისევ წამოწვებოდა. თვალებსაც ხან გაახელდა და ხან დახუჭავდა. რომ დამინახა, ჩემკენ გამოექანა. მე შემეშინდა და უცბად გამოვიქეცი.

—უი ჩემს თავსა! ეგ ხომ კატაა, შვილო! ბეწვზე გადარჩენილხარ. ერიდე, შვილო, მაგას, თორემ ბევრი სხვა თაგვივით ვერც შენ გადაურჩები მის კლანჭებსა და კბილებს.

საქართველოს სსრ ცას. რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

პროექტები — სოფლის მუშაკებს

სოფლის მშრომელთათვის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ტიპობრივი პროექტები შეიმუშავა საქართველოს სასოფლო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა.


ამ მუშაობას წინ უძღვოდა დიდი მზადება. დამპროექტებელთა ბრიგადები რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში სწავლობენ მოთხოვნებს, რომლებსაც გლეხები და სოფლის ინტელიგენცია უყენებენ საცხოვრებელ ბინას, სწავლობენ ადგილობრივ ტრადიციებს, გემოვნებას, სოფლის მშენებელთა გამოცდილებას. ეს მასალები დამუშავდა ინსტიტუტში სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებთან დაკავშირებით და ამ საფუძველზე შეიქმნა სახლების შვიდი ვარიანტი სოფლის მცხოვრებთათვის.

თითოეული პროექტი განკუთვნილია ამა თუ იმ ბუნებრივ-კლიმატური პირობებისათვის. მაგალითად, პროექტი სახლისა ტენიანი სუბტროპიკების ზონისათვის ითვალისწინებს ხიმინჯებიან საძირკველს, ხოლო მთის კალთაზე ასაგები სახლი — ტერასულ დაგეგმვას და ოთახების სხვადასხვა დონეზე განლაგებას.

გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო შრომით დასაქმებულ მცხოვრებთა მოთხოვნილებანი. მათ სჭირდებათ ვრცელი ღია აივნები ან ვერანდები პროდუქტების დასამუშავებლად — ხილის გასახმობად და სხვ. გონებრივი შრომის ადამიანებს — სოფლის ინტელიგენციას ასეთი ვრცელი ვერანდები არ სჭირდებათ, სამაგიეროდ მათთვის გათვალისწინებულია კაბინეტები.

დამპროექტებლებმა სოფლის მცხოვრებლებს შესთავაზეს ერთსართულიანი და ორსართულიანი სახლების ვარიანტები. ამ სახლებში 2-5 ოთახია. პროექტების ავტორებმა გაითვალისწინეს სახლის თანდათან აშენების შესაძლებლობა: ჯერ შენდება ერთი ოთახი სამზარეულოთი და სანიტარული კვანძით, შემდეგ მას მიაშენებენ დანარჩენ ოთახებს.

• • •



სურათზე: ორსართულიანი ხუთოთახიანი საცხოვრებელი სახლის მაკეტი სოფლის ადგილებისათვის.

ტკბილი დაგა

მთაწმინდაზე გაჩნდა ფუტკრების დაბა. ეს არის საქართველოს მეფუტკრეობის საცდელი სადგურის ექსპერიმენტული საფუტკრე ათასი ფუტკრის ოჯახისათვის. აქ სახლობენ საუკეთესო სახეობის სახელგანთქმული ქართული რუხი მთის ფუტკრის ოჯახები. საფუტკრეს გარშემო ათ ჰექტარ მიწას დაიკავებენ სამყურა, ესპარცეტი და სხვა თაფლოვანი ბალახები, აგრეთვე ცაცხვისა და აკაციის ნარგავები.

საცდელი სადგურის თანამშრომლებმა დახმარება უნდა გაუწიონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პრაქტიკოს მეფუტკრეებს. აქ ამუშავებენ დედა ფუტკრების გამოყვანისა და მათი ჯგუფური გამოზამთრების ახალ პროგრესულ მეთოდებს, ქმნიან მცირეგაბარიტიან ნუკლეუსებს, სწავლობენ ფუტკრის დაცვას შხამქიმიკატების მომწამვლელი მოქმედებისაგან და სხვ.

საცდელი სადგურის მუშაობაში დიდი ადგილი უკავია რესპუბლიკის მეფუტკრეობის საუკეთესო მეურნეობათა მოწინავე გამოცდილების განზოგადებასა და პოპულარიზაციას.

ახალი სიმძლავრეები

ჟუთაისი. საექსპლოატაციოდ გადაეცა ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის № 2 საწნეხე საამქროს ახალი კორპუსი. მისი ფართობია 6 ათასი კვადრატული მეტრი. აქ უკვე დაიწყო ახალი წნეხების მონტაჟი.

პირველ კვარტალში მემონტაჟეებმა დაამონტაჟეს 7 ახალი მძლავრი წნეხი. ამით 10-15 პროცენტით გადიდდა ავტომობილთა კაბინების დეტალების გამოშვება. ახალი წნეხების ამუშავებით გადაიჭრა ავტომობილის გასათბობი ღუმელების დამზადების პრობლემა. მალე ქარხანა შეუდგება მანქანის გასათბობი ღუმელების სერიულ წარმოებას.

წლის დამდეგიდან ქარხნის საამქროებში 25 ახალი მაღალი მწარმოებლობის ნახევრად ავტომატური ჩარხი და დანადგარი ამუშავდა, რომლებმაც შეცვალეს 50 მოძველებული ჩარხი.

საძარე საამქროებში მონტაჟდება და მალე მწყობრში ჩადგება ავტომობილის ჩარჩოს ასაწყობი და საღებავი ნახევრად ავტომატური ხაზი, რაც შრომის ნაყოფიერებას 25 პროცენტით გაზრდის და გაუმჯობესებს შეღებვის ხარისხს. საწნეხე საამქროში მალე ამუშავდება სამი რვასტონიანი და ერთი ათასტონიანი წნეხი, დაიდგმება ნარჩენების გამტანი კონვეიერი, მოეწყობა ფურცლოვანი ლითონის დაჭრის ხაზი. სამჭედლო საამქროში მონტაჟდება 600-ტონიანი წნეხი.

ქართველი ფიზიოლოგის მეთოდით

სუნთქვის „აღმზრდელი“

ლამარას მრავალი წლის განმავლობაში აწუხებდა ბრონქული ასთმა. ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ ექიმები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ავადმყოფობა მწვავდება, როცა ქალი გრძნობს... ვარდის სუნს. და მართლაც, როგორც კი იგი წყვეტდა ამ ყვავილის ყნოსვას, შეტევა აღარ მეორდებოდა. ერთხელ კი ლამარამ დაინახა ხელოვნური ვარდი, და ავადმყოფობა კვლავ გამწვავდა.

ეს შემთხვევა მოწმობს, რომ ამ მძიმე დაავადების განვითარება დაკავშირებულია, კერძოდ, ნერვული სისტემის მოქმედების დარღვევასთან.

— ცნობილია, რომ ასთმის განმეორებითი შეტევების მიზეზი ხშირად არის გარკვეული სიგნალები — გარეშე გამღიზიანებლები, — განაცხადა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა დ. გედევანიშვილმა. — ამიტომ სუნთქვის ვარჯიშით შეიძლება საბოლოო ანგარიშით თანდათანობით აღმოვფხვრათ თავის ტვინის ქერქში აღგზნების კერა.

პროფესორ დ. გედევანიშვილს მიაჩნია, რომ ეს შეიძლება გაკეთდეს მისი კონსტრუქციის სუნთქვის დოზირების აპარატით. უფრო გვიან ინჟინერ გ. სუშენცოსთან თანამშრომლობით მეცნიერმა გაუმჯობესა აპარატი, აღჭურვა იგი ავტომატური ელექტრომართვით.

ქართველი ფიზიოლოგის მეთოდის არსი, რომელიც საფუძვლად დაედო აპარატის მუშაობას, ის არის, რომ ავადმყოფს ყოველ ჩასუნთქვაზე მუდმივი რიტმით ეძლევა გარკვეული რაოდენობის ჰაერი. ამ რიტმს მეცნიერი „თავს ახვევს“ ავადმყოფს. ფილტვების ვენტილაციის მოცულობა წინასწარ გაიანგარიშება თითოეული ავადმყოფისათვის წონის, სიმაღლის, ასაკისა და სქესის მონაცემების საფუძველზე.

ექსპერიმენტატორმა პირველად მოახერხა აბსოლუტური სიზუსტით გაეზომა უანგბადისა და ნახშირორჟანგის ცვლა ორგანიზმში. ერთი წუთის განმავლობაში იგი განსაზღვრავს უანგბადის რაოდენობას, რომელიც ადამიანს სჭირდება დღე-ღამეში, შეიტყობს, თუ როგორ იყენებს ჰაერის უანგბადს ავადმყოფის ორგანიზმი.

დოზირებული სუნთქვის მეთოდი საშუალებას იძლევა წარმატებით გამოვიყენოთ აპარატი არა მარტო ფიზიოლოგიური გამოკვლევისათვის, არამედ აგრეთვე ხელოვნური სუნთქვისა და საერთო გაზცვლის გაზომვისათვის სხვადასხვა ქირურგიული ოპერაციის დროს, აგრეთვე ცხოველებზე ექსპერიმენტის დროს.

აპარატის ყველა ამ თვისებამ მეცნიერი მიიყვანა იმ აზრამდე, რომ შესაძლებელია მისი გამოყენება ბრონქული ასთმის განვითარების მექანიზმის ზოგიერთი მხარის შესასწავლად და ამ მეთოდის შესატანად სამკურნალო ღონისძიებათა კომპლექსში. მოწყობილობას შეუძლია წამში აღნიშნოს სუნთქვის შეცვლა, რაც დამახასიათებელია ასთმით დაავადებულთათვის. ახალი მეთოდის დახმარებით შეიძლება ვიმსჯელოთ დაავადების სირთულეზე, აგრეთვე ასთმის ფორმაზე.

ახლა ასთმის მკურნალობის ერთერთ საშუალებად ითვლება გაფრქვეული ნოვოკაინის ინგალაცია. იგი ხელს უწყობს სასუნთქი გზების ლორწოვან ნაწილებში განლაგებული გრძნობის ორგანოების ანესთეზიას. პროფესორ დ. გედევანიშვილს მიაჩნია, რომ ეს მეთოდი უნდა შევახამოთ დოზირებული სუნთქვის მეთოდთან.


აპარატს კლინიკურად სცდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ი. ჩიქოვანი. აქვე შეიქმნა ალერგოლოგიური ცენტრი, რომელშიც ჰროფესორი გ. გურგენიძე თანამშრომელთა ჯგუფთან ერთად შეისწავლის ასთმასთან საბრძოლველად.

სუნთქვის დოზირების აპარატი ექსპონირებული იყო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე და ვერცხლის მედალი მიენიჭა. ამ ცოტა ხნის წინათ კი პროფესორმა დ. გედევანიშვილმა მიიღო ამ გამოფენის უმაღლესი ჯილდო — საპატიო დიპლომი „ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკაში დოზირებული სუნთქვის აპარატის დანერგვისათვის“.

ი. გოცაძე.

გამოქვაბულების ზედამხედველი

- მეცნიერს... არა აქვს მეცნიერული შრომები
- მასწავლებელი ხდება სპელეოლოგი
- სათაფლიის ზღაპრული სასახლეები
- ნახევარი საუკუნე მიწის ქვეშ
- გამოქვაბულების ამბები
- დინოზავრები ქუთაისში



პეტრე ჭაბუკიანი ყველაზე ნაკლებად გავს სპელეოლოგს — გამოქვაბულების მრისხანე დამპყრობს. შუა ტანის, გამხდარი, ჭკვიანი თვალებით, ჭაღარა, უკან გადავარცხნილი თმით იგი უფრო მეცნიერს მოგვაგონებს. და თუმცა ჭაბუკიანს არ დაუწერია მეცნიერული შრომები, მის ავტორიტეტს იმოწმებს თავის ნაშრომებში ბევრი საბჭოთა და საზღვარგარეთელი მეცნიერი:

...ათ წელს ასწავლიდა გეოგრაფიას პ. ჭაბუკიანი ქუთაისის ერთ-ერთ სკოლაში. მას ხშირად დაჰყავდა ბავშვები სათაფლიის მთაზე, რომლის მწვერვალიდან მოჩანს რიონის თვალწარმტაცი ხეობა. ერთხელ თიხის ჭურჭლის ნამსხვრევები იპოვა. გულდასმით გასინჯვამ მასწავლებელი დაარწმუნა, რომ ეს ნივთები სხვა არა არის რა, თუ არ სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და საოჯახო საგნების ნაშთები, რომლებითაც სარგებლობდნენ ახალი ქვის ხანის ადამიანები. ეს სპეციალისტებმაც დაადასტურეს.

ერთხელ მან გადაწყვიტა გაეგო, საით იკარგებოდა პატარა მდინარე. იგი შეჰყვა მას ათიოდე მეტრის ნაპრალში, გაიარა ვიწრო გასასვლელი, რომელიც თანდათან ფართოვდებოდა და, როცა რამდენადმე შეეჩვია სიბნელეს, ჭაბუკიანი გაოცდა ზღაპრული სილამაზის სანახაობით. იგი აღმოჩნდა რამდენიმე ასეული მეტრი სიგრძის გამოქვაბულის ერთ-ერთ დარბაზში. მისი კედლები და ჭერი დაფარული იყო სხვადასხვა ფორმის სტალაქტიტებით. ზოგან ისინი ერთმანეთს უერთდებოდნენ და ქმნიდნენ სტალაგმატებს — უზარმაზარ სვეტებს, რომლებიც მსუბუქ. ლამაზ ფარდებს გავდნენ.

ახალგაზრდა ნაპოვნმა გადაწყვიტა მასწავლებლის ბედი. იგი გახდა სპელეოლოგი — საქართველოში გამოქვაბულების ერთ-ერთი პირველი მკვლევარი. ყოველდღე, დარსა თუ ავდარში იგი მიაბიჯებდა გამოქვაბულისკენ — 15 კილომეტრი იქით და ამდენივე უკან. მან „თავისი“ გამოქვაბულები გამოიკვლია ყოველმხრივ. აღმოჩნდა, რომ იგი გადაჭიმულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 600 მეტრზე. მის ფსკერზე მოჩუხჩუხებს ნაკადული, რომელიც მიედინება ვიწრო გაუვალი ნაპრალებით და გადის სათაფლიის მთის სამხრეთ კალთაზე. აქედან მას მდინარე ოღასკურას უწოდებენ.

იმ დროს ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებას უნდა აღედგინა ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილი, დანგრეული მეურნეობა და ჭაბუკიანის ნაპოვნს სათანადო ყურადღებას არავინ აქცევდა. იგი საკუთარი ინიციატივით იცავდა გამოქვაბულებს, უვლიდა მათ. რამდენიმე წლის შემდეგ მივიდა ფილიპე მახარაძესთან და უამბო სათაფლიის გამოქვაბულებზე. ცაკის თავმჯდომარემ დააფასა ამ აღმოჩენის მნიშვნელობა. პ. ჭაბუკიანმა პირველად მიიღო ფული გამოქვაბულების დასაცავად. წარმატებით ფრთაშესხმულმა ჭაბუკიანმა მიაღწია იმას, რომ გაიყვანა გზა გამოქვაბულებისაკენ.

1930 წელს სათაფლიის გამოქვაბული გაიხსნა ტურისტებისათვის. თითქმის ოთხი ათეული წლის მანძილზე აქ იყო 60 ათასზე მეტი კაცი, ხოლო ჭაბუკიანი იყო და არის მათი უცვლელი ექსკურსიამძღოლი. იგი შეყვარებულია თავის გამოქვაბულებზე და არ მალავს ამას. აქ მისთვის ნაცნობია ყოველი სტალაქტიტი, ყოველი ქვა.

გამოქვაბულებზე პეტრე ჭაბუკიანს შეუძლია ილაპარაკოს შეუსვენებლად. მან იცის გამოქვაბულებთან დაკავშირებული მრავალი საოცარი ამბავი, ახსოვს, მაგალითად, როგორ აერია გზა ახალგაზრდა კაცს ლაბირინთში და ორ კვირას გაატარა აქ უსაჭმლოდ და უსინათლოდ. პეტრე ჭაბუკიანი მოგიყვებათ საინტერესო ამბავს გამოქვაბულების საოცარ სამკურნალო თვისებათა შესახებ. თუმცა პ. ჭაბუკიანი უკვე ოთხმოცი წლისაა, მაგრამ თავს ჭარმაგად გრძნობს. ეს იმით აიხსნება, რომ მუდამ სუნთქავს „თავისი“ გამოქვაბულების ჰაერს. მან ერთხელ სანაძლეოც კი მოიგო და დაამტკიცა, რომ სურდო, ხველა და სხვა გრიპოზული მოვლენები ქრება, როგორც კი რამდენიმე ხნით ჩახვალთ გამოქვაბულში. სპეციალისტებმა, რომლებმაც მისი თხოვნით გამოიკვლიეს მიწისქვეშა სასახლე, დაასკვნეს, რომ აქ ჰაერი რადიოაქტიურია სწორედ ისეთი დოზით, რომელიც სასარგებლოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

პეტრე ჭაბუკიანს შესწავლილი აქვს სათაფლიის ნაკრძალის ყოველი სანტიმეტრი. ერთხელ კი, გამოქვაბულის შესასვლელიდან ხუთას მეტრზე წააწყდა დინოზავრების კვალს...

დინოზავრები ქუთაისში?! ეს განცხადება მეცნიერებმა ჯერ ხუმრობად მიიღეს. ჭაბუკიანი კი კვლავ და კვლავ უმტკიცებდა და არწმუნებდა. და გაიმარჯვა! მეცნიერულ ცნობარებში კი გაჩნდა ახალი ტერმინი „სათაფლია ზავრუს“. დიახ, 120 მილიონი წლის წინათ სათაფლიაში მოდიოდნენ დინოზავრები. მათი კვალი ძალიან იშვიათად გვხვდება მსოფლიოში და ისიც მხოლოდ გარკვეულ ქანზე — ქვიან თიხაზე, რომელიც ილექებოდა ოკეანის ნაპირზე.

ნახევარი საუკუნე გაატარა „მიწის ქვეშ“ გამოქვაბულების ზედამხედველმა პეტრე ჭაბუკიანმა. სწორედ მისი მეცადინეობით და შრომით გახდა სათაფლია ტურისტთა საყვარელი ადგილი და შეტანილია ყველა ტურისტულ ცნობარში.

ს. ჭარხალაშვილი.

* * *

სურათებზე: ზემოთ — პეტრე ჭაბუკიანი; ქვემოთ — ამ ადგილზეა აღმოჩენილი დინოზავრის ნაკვალევი.



Ф. 6/50 [-10]

ფეხბურთი, ჭადრაკი, ჩოგბურთი

უკვე ცხრა ტური განვლეს ფეხბურთში საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებმა. დღეისათვის ლიდერობენ კიევის „დინამო“ და მოსკოვის „სპარტაკი“. თბილისელები მეხუთე ადგილზე არიან. როგორც ვამბობდით ასეც მოხდა. წამყვანი ადგილები დაიკავეს იმ გუნდებმა, რომლებიც წლების მანძილზე, ტრადიციულად, ამინდს ქმნიან ჩვენს ფეხბურთში.

თბილისის დინამოელებს გასვლითი თამაში ჰქონდათ ერევანში, აქ მათ არარატთან — 0:0 ითამაშეს, ხოლო თბილისში დაამარცხეს კიროვაბადის „დინამო“ — 2:0, „ზარია“ (ლუგანსკი) 2:0 და ფრედ ითამაშეს დონეცკის „შახტიორთან“.

უკანასკნელ მატჩში არ მონაწილეობდნენ კ. ასათიანი და გ. ნოდია, რომლებიც ჯვლავ ნაკრებში გაიწვიეს. რაც შეეხება ქუთაისელებს, მათ უკვე დაიწყეს თავი უკანასკნელ ადგილს და მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა.

საბჭოთა ფეხბურთელთა ნაკრები წარმატებით თამაშობს. ბუდაპეშტში დამარცხების შემდეგ — 0:2 თითქოს და ყველაფერი დაკარგული იყო, მაგრამ მოსკოვში ჩვენებმა ბრწყინვალე რევანში აიღეს, განმეორებით მატჩში დაამარცხეს უნგრეთის ძლიერი გუნდი 3:0 და ევროპის ჩემპიონატის ფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვეს.

ვინც ამ შეხვედრებს დაესწრო, ან ტელევიზიით უცქირა, არ შეიძლება აღფრთოვანებული არ იყოს საბჭოთა გუნდის თამაშით. შესანიშნავი იყო მურთაზ ხუციშვილის, დაცვის სული და გული, მეორე გოლის ავტორი. კიდევ უფრო ბრწყინვალედ ითამაშა მურთაზმა ოლიმპიურ შესარჩევ მატჩში ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ. აქ იგი ერთხმად აღიარეს მატჩის გმირად.

ჯერ იყო და მურთაზმა პირველი ტაიმის დასასრულს უძლიერესი დარტყმით გახსნა ანგარიში. მეორე ტაიმში, როდესაც ჩვენები აგებდნენ — 1:2, მან თავის თავზე აიღო თამაში, შეიჭრა სტუმრების საჯარიმო მოედანზე და ისეთი გადაცემა გააკეთა, რომ ჩისლენკოს მხოლოდ ისღა დარჩენოდა უბრალოდ მიმართულება შეეცვალა ბურთისათვის.

ახლა საბჭოთა ნაკრები საპასუხო მატჩს გამართავს ჩეხოსლოვაკიელებთან, შემდეგ კი იტალიაში გაიმეზავრება ევროპის ჩემპიონატის დასკვნით ასპარეზობაში მონაწილეობის მისაღებად.

თბილისში დასასრულს უახლოვდება ქალთა საერთაშორისო საჰაერო ტურნირი, რომელიც უკვე ტრადიციად იქცა. ამ ტურნირში საქართველოდან გამოცდილი ოსტატების ნანა ალექსანდრიას, ელისო კაკაბაძისა და ალა ჩაიკოვსკაიას გარდა მონაწილეობენ ახალგაზრდა ნიჭიერი მოჭადრაკეები ც. კობაიძე, თ. ხუგაშვილი, ნ. ხუბულური, მ. სანაძე, ც. კახაბრიშვილი.

თავიდან ლიდერობა ხელთ იგდო ე. კაკაბაძემ. ნ. ალექსანდრიამ წარუმატებლად დაიწყო ტურნირი, წააგო შეხვედრა, შემდეგ ყაიმები გააკეთა და ამას დაემატა ავადმყოფობაც. იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩა ლიდერებს. მაგრამ საბჭოთა კავშირის ექსჩემპიონმა დაძლია ავადმყოფობაც, ერთგვარი დეპრესიც და ზედიზედ მოიგო შეხვედრები. იგი ახლა ერთპიროვნული ლიდერი გახდა. ტურნირი დასასრულს უახლოვდება და როგორიც არ უნდა იყოს მისი შედეგი, გაიმარჯვებს მეგობრობა, ის სულისკვეთება, რომელიც მონაწილეთა შორის სუფევდა. რაც შეეხება ჩვენს ახალგაზრდობას, ეს მათი წვრთნის, დაოსტატების და დახელოვნების შესანიშნავი გაკვეთილი იქნება.

საბჭოთა ჩოგბურთელები ნახევარფინალში გავიდნენ. აქ მათი მეტოქე იტალიის ძლიერი კოლექტივი იქნება. მანამდე კი მათ დაამარცხეს ბერძნები. ამას წინათ კი იუგოსლაველები. ალექსანდრე მეტრეველმა მოუგო ბ. იოვანოვიჩს — 6:3, 6:4, 6:4. წყვილთა შეხვედრაში ა. მეტრეველმა და ს. ლიხაჩოვმა მოუგეს მეტოქეს და უკვე გაინაღდეს საერთო გამარჯვება. მაგრამ დასკვნითი მატჩები, რომლებსაც არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, მაინც გაიმართა. ა. მეტრეველმა ამჯერად ისევ სამ პარტიაში გაიმარჯვა. საერთო ანგარიშით 5:0 გაიმარჯვეს საბჭოთა ჩოგბურთელებმა და დევისის თასის გათამაშების ევროპის ზონის ნახევარფინალში გავიდნენ.

ოლიმპიურ ასპარეზობამდე არც თუ დიდი დრო რჩება. ამიტომ სპორტის ყველა სახეობებში იმართება საკავშირო ჩემპიონატები, რომელთა გამარჯვებულებიც მექანიკურად ოლიმპიური ტურნირის მონაწილე კანდიდატები ხდებიან.

სწორედ ქართველ სპორტსმენებზე, იმათზე ვინც მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის კანდიდატები არიან, გვექნება საუბარი შემდეგ მიმოხილვაში.

ო. ლორთქიფანიძე.

სამგისტთა სამჭედლო

გორი. გორი ცნობილია როგორც შესანიშნავ მოჭიდავე სამბისტთა სამჭედლო. სულ ათი წლის წინათ ამ სახეობის სპორტზე აქ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ, დღეს კი სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ქიბროწაშვილი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები რ. მაღალდაძე, ი. იმერლიშვილი, ვ. ბორჩაშვილი, გ. ბეინაშვილი ცნობილი არიან არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. გორში აღიზარდა 40-ზე მეტი სამბისტი სპორტის ოსტატი. შარშან გორელებმა თავიანთ ქალაქს ჩამოუტანეს ევროპია და საბჭოთა კავშირის პირველობათა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ქალაქის სამბისტთა ნაკრები გუნდი საქართველოს ჩემპიონია, ხოლო ზოგიერთი მისი წევრი ჩარიცხულია სსრ კავშირის ნაკრებ გუნდსა და ჩვენი ქვეყნის სტუდენტთა ნაკრებ გუნდში.



დილა მეტეხთან.

ქართული მოტივები

გოუსმინეთ საქართველოს

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი ჟისპაკათია

თბილისი, გ. ათონელის, ქ. № 25.